№ 201 სექტემბერი 18, ხუთშაბათი 1886 სექტემბერი 18, ხუთშაბათი № 201

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	7	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველგვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 17 სექტემბერი

ბოლგარიაში ვერაფერი სანუგეშო ამბებია თურმე დღეს. მთელი ევროპა ამ ბოლგარიის საქმეზეა დღეს შეჩერებული და ამ საქმის გამო გულ-ამღვრეული. ყველას იმისი ეფიქრება, რომ ვაი თუ ეხლანდელის რეგენტობის კეთილგონიერება ვერ გაუძლევს ეხლანდელს აშლილობას ბოლგარიისას და რომელიმე სახელმწიფო იძულებულ ჰყოს ჩაერიოს ბოლგართა შინაურ საქმეში და ამით სხვა სახელმწიფოებიც ასტეხოს და ხელი გამოაღებინოს. ეს შიში მით უფრო გულს უხეთქს დიპლომატიას, რომ დიდის ალიაქოთის მომასწავებელია ევროპაში. არ არის თითქმის არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომლის ინტერესი არ იყოს წინააღმდეგი მეორისა. ინგლისი, მაგალითებრ, თავისის ინდოეთის ზღუდეს და ფარს აქ ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ ეძიებს, დარდანელის და ზოგიერთ კუნძულების დაჭერით ჰნდომულობს თავისუფალი გზა იქონიოს ხმელთა-შუა-ზღვაზედ. ამისათვის ჰცდილობს, თუ ვინიცობაა აღმოსავლეთის საქმე მთელის თავის სიგძე-სიგანით აიწეწა, თასოს კუნძული დაიჭიროს, კრიტი ხელთ იგდოს და ეგვიპტეშიაც მარტო იბატონოს. ეს, რასაკვირველია, ინგლისს გააძლიერებს ხმელთა-შუა-ზღვაზედ. ამ ზღვაზედ გამოსვლა ადრიატიქის ზღვით ავსტრიასაც უნდა და ამიტომაც ავსტრია ესე გულ მოდგინედ იწევს სალონიკი დაიპყრას. მაშასადამე, ინგლისი და ავსტრია ამ საქმეში ერთმანეთს ვერ შეიფერებენ, ვერ იშვნევენ. გაძლიერება ხმელთა-შუა ზღვაში ან ინგლისისა, ან ავსტრიისა იტალიას ვერ უხდება და მის ინტერესებს ეპირისპირება. იტალია, ვითარცა ხმელთა-შუა-ზღვის პირის სახელმწიფო ერთის მხრით და მეორეს მხრით ადრიატიკისა — ვერ შეიწყნარებს ვერა სახელმწიფოს გაძლიერებას ამ ზღვებზედ და ამიტომაც ეცდება არც ავსტრია გამოუშოს სოლონიკისაკენ და არც ის იამება, რომ ისეც ძლიერი ხმელთა-შუა-ზღვაზედ ინგლისი უფრო გააძლიეროს ახალის კუნძულების დაჭერითა. საფრანგეთი ყოველს ფეხის განზედ გადგმას ინგლისისას ხმელთა-შუა-ზღვაზედ აღმაცერად უყურებს და ეგვიპტეში ინგლისის გაბატონებას ხომ არას გზით არ იყაბულებს.

გარდა ამისა, ავსტრიას თავისი საკუთარი ინტერესი აქვს ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ, რადგანაც იგი თვის ქვეშევრდომთა შორის ჰთვლის არა ერთსა და ორს მილლიონს სლავიანებსა. ავსტრიის ზედ-მოქმედების გაუქმება, თუ გაძლიერება, ბალკანიის ნახევარ-კუნძულის სლავიანებზედ, მისი სიკვდილ-სიცოცხლის საგანია. ავსტრია ამ ზედ-მოქმედებას ვერავის ვერ დაუთმობს, ბალკანიის სლავიანთა ბედის წარმართვისაგან თავს ვერ გამოიწირავს, ამიტომაც ავსტრია ეგრე ძლიერ ჩაბმულია ბოლგარიის და ერთობ აღმოსავლეთის საქმეში და უნდა, თუ არ უნდა, თავ-გამოდებულიც უნდა იყოს. ოსმალეთი უყურებს გულის ძგერით დღევანდელ აშლილობას აღმოსავლეთის საქმისას... ამიტომაც რაც ძალი და ღონე აქვს ემზადება, რომ ჭექა-ქუხილმა საფარველს გარედ არ მოასწროს. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობა ოსმალეთისა ზოგს სახელმწიფოს იმედს აძლევს, არა მე მოვიმხრობ ოსმალეთსა, არა მეო და იმოდენად ირჯებიან, რომ რაც შეიძლება ერთმა მეორეზედ ბევრი აღუთქვას, ოღონდ კი ოსმალო თავისკენ გადმოიბიროს.

ინგლისს ამისათვის დიდი ღონის-ძიება უხმარია. ჯერ ერთი რომ ხომალდები ჩაუყენებია ოსმალთა წყლებში და მერე ჰერცოგი ედინბურგისა და პრინცი უელსისა გაუგზავნია სულთანის სანახავად. გაზეთები ამბობენ, რომ თუ დიდი და ფრიად შესანიშნავი პოლიტიკური საქმე არა აქვთ საგნად, ინგლისი ამ წარჩინებულ კაცთ ეხლანდელ დროში არ წარავლენდა სულთანთანაო. დაჭეშმარიტებით თუმცა არავინ არა იცის-რა, მაგრამ აზრით კი ამას აზრობენ, რომ ინგლისი ჰცდილობსო კუნძული თასოსი და კრიტი დაათმობინოს ოსმალებსაო და მის სამაგიეროდ აღუთქვას თვისი სარჩელი და მფარველობაო, თუ ვინიცობაა ოსმალეთს სამტროდ გამოეკიდა ვინმეო. გარდა ამისა ინგლისი აქეზებს თურმე ოსმალეთსა, აღმოსავლეთ-რუმელიაში ჯარები შეიყვანე და შენი ბატონობა იქ კვლავ დაადგინეო. ამბობენ, ამ რიგადვე აქეზებენ ოსმალეთს სხვა სახელმწიფონიცაო. არ ვიცით რამოდენად მართალია ეს ხმები... ეს კი ვიცით, რომ ოსმალეთი ძნელად გაჰბედავს რუმელიაში ჯარების შეყვანას რუსეთის შიშითა. რუსეთი თავის დღეში ამის ნებას არ მისცემს ოსმალეთსა და ოსმალეთი დღეს იმისთანა მდგომარეობაშია, რომ არ შეუძლიან რუსეთის სურვილსაც არ დაეკითხოს და იგი სურვილი სახეში არ იქონიოს.

როცა ასე გადახლართულია ერთმანეთში დიდთა სახელმწიფოთა ინტერესები ბოლგარიის საქმეთა გამო, რას ჰფიქრობს მაშინ გერმანია? აი საკითხავი, რომელზედაც დღეს მიქცეულია მთელი ყურადღება ჟურნალ-გაზეთობისა. გერმანიას, რასაკვირველია, ისე ბოლგარიის საქმე თავისთავად არ აწუხებს, როგორც ის, რომ ამ საქმის გამო სხვა კუდი არ გამოებას ეხლანდელს აშლილობას. გერმანიის შიში და ფიქრი ის არის, რომ ან ერთი მომხრე, ან მეორე ხელიდამ არ გაუძვრეს და მის მტერს საფრანგეთს მხარი არ დაუჭიროს. ამისათვის გერმანია რაც ძალი და ღონე აქვს იმასა ჰცდილობს, რომ ავსტრია და რუსეთი როგორმე ერთმანეთთან მორიგებულნი იყვნენ და ამათი ინტერესები ერთმანეთს შეუწონოს, ერთმანეთთან მოათავსოს. გერმანიამ კარგად იცის, რომ მინამ ავსტრია და რუსეთი მასთან კარგად არიან, არაფრის შიში არა აქვს და რადგანაც ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმემ ერთისა და მეორის ინტერესები შესძრა და ამ ინტერესების ერთმანეთთან მორიგებაში გერმანიას დიდი ხმა აქვს, ამიტომაც ბისმარკი ჰცდილობს ყოველის უთანხმოების მიზეზი მათ შორის მოსპოს და ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმე ისე დააბოლოვოს, მითამ არც მწვადი დასწვას და არც შამფური.

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 23 სექტემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი წარმოადგენს სხვათა-შორის იტალიურიდამ ნათარგმნს პიესას „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს". ეს პიესა ნათარგმნია ივ. მაჩაბლის მიერ სუბუქისა და წმინდა ქართულის ენით. შინაარსიც ამ პიესისა საკმაოდ გასართობია და საზოგადოებას არ მოეწყინება. იმედია, ამ მეორე წარმოდგენას ბლომად დაესწრობა ხალხი, მით უმეტეს, რომ, როგორც შევიტყეთ, ბევრი ჰნანობს, პირველს წარმოდგენას ვერ დავესწარითო. ამ მოკლე ხანში ჩვენს დასს მოემატება ერთი მისი ნიჭიერი წევრიც ბ-ნი კ. ყიფიანიო.

⁂ ჩვენის ტფილისის ერთი დიდი უხერხულობა, სხვათა შორის, ის არის, რომ ამოდენა ქალაქს აბანოები შორსა აქვს. ტფილისის ცხელი აბანოები კლდის უბანშია და ქალაქის შუა გულიდამ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ვერს-ნახევარი და ორი ვერსი იქნება. ეს მანძილი კიდევ ისე სამძიმო და შესაწუხებელი არ იქმნებოდა ტფილისის მკვიდრთათვის, რომ თვით ქუჩები, რომლებზედაც უნდა გაიარო, მეტის-მეტად ვიწრონი, უსუფთაონი არ იყვნენ. მთლად ის ორი და სამი უბანი, რომელიც უნდა გაიარო აბანოებამდე, ძველის-ძველი ნაწილია ქალაქისა, უგეგმოთა და უხერხულად გაშენებული ჩვენთა მამა-პაპათაგან. ჩვენის აზ-

ფელეტონი

არჯაკელი

ბნელს ხევ-ხუვს, პირ-მზითისაკე
ერთის ნაზოვრის პირასა
არჯაკელს [1]) გაჰღვიძებია
დაბლა, კანჭუხის ძირასა;
ყინვა ჰზრავს, ზვავის ნაყური
ნამი უდგია მზირასა;
ნისლები დაჰლაღოვიან
მცენართა დასატირალსა.

უთქვეფავ ზოვსა ბექ-ბუქი,
გამოქანულა შორითა,
არჯაკელს წამოჰდგომია
ბაგით კუშაპის სწორითა;
ზევით ტირიან თხილები,
არყი იმტვრევა ღერითა,
სატირელს ითანიებენ
დეკა, [2]) ურმანი ჯერითა.

ზევით პირი-მზე [3]) გაჰღვივის
გაღმა-გამოღმა გორითა;
კლდეები ემუქრებიან
დასაქოლავად ყორითა!

ის კი შაფრკინვით დაჰხარის
ჩახრიალთ [4]) წყალთა მღერასა;
მზის ჩასვლას, მთვარის მოსვლასა,
დილით ნამისა ჭვრასა;
ბუნდად ცა-ღურბლის რევასა,
ნისლის ხრო [5]) და ხრო დენასა;
ღამეს ცას თვალ-თვალიანსა,
ხარი-პარას ბზენასა;
კლდისა შავარდნის კივილსა,
შაშვის ნაავდრზედ სტვენასა,
ზამთარზედ გაზაფხულისა
გამარჯვებისა სმენასა.

ზღვითგან წამოვა ღურბელი,
აიმართება მთისაკე,
ნაორღვენს [6]) გამოგიგზავნის;
წაგილებს გასპიისაკე.

ბაჩანა

---

[1]) მთის ბალახია.

[2]) დეკა, ურმანი ჯაგის გვარის მცენარეებია... უშეშობის გამო დეკას მთიელები შეშად ჰხმარობენ.

[3]) პირი-მზე—ბალახია. წითელი ტურფა ყვავილია მთისა (Альпiйская роза).

[4]) ჩაჩხრიალა—ჩანჩქარი (Каскадъ).

[5]) ირმის ხრო.

[6]) დიდი ღვარი.

სახალხო ლექსები

(შეკრებილი ქართლში ი. დ.)

ჭინჭარა ჭირის ჭირია,
სატაცური ბალღამია;
სვინტრი მოვა, მოიძახის:
„მე ვარ ყველას წამალია".

—

არჯაკელა ტიროდაო:
ბევრი კვერცხა მინდოდაო;
ასი კვერცხი ჩამახალეს,
ასი კიდევ მინდოდაო.

საყურადღებო

მკითხველმა, რასაკვირველია, იცის, რომ მე არა-ერთხელ და არა-ორჯელ ჩამომიგდია ლაპარაკი ჩვენს ესრედ-წოდებულს „ტიურნიურიან" ქალებზე. ბევრი ამ ამბავმა, შესაძლოა, კიდეც გააოცა, მაგრამ გასაოცებელი აქ, მე რომ მკითხოთ, არაფერია. ზემოხსენებული ქალები სრულიად ღირსნი არიან, რომ მიიქციონ საზოგადო ყურადღება, პირველ ყოვლისა მისთვის, რომ მათი ავ-კარგიანობა ნამეტნავად შეეხება თვით საზოგადოებას და შეუძლიან დიდი გავლენა იქონიოს მის ცხოვრებაზე. ჩვენის ცხოვრების მემატიანე და გამომხატველი დიდის გულს-მოდგინებით შეუდგება, როცა იქნება, ამ მანდილოსნების ზოგადის სახის შესწავლას და გამოკვლევას და, მე დარწმუნებული ვარ, გულ-საკლავ და ზარ-დამცემ ზნეთა დაცემის სურათსაც დაჰხატავს შთამომავლობის საგულისხმოდ, მართლა და, რა არის უმრავლესობა ჩვენის ეგრედ-წოდებულის «განათლებულის ქალებისა», რა გვარია მათი იდეალი, მათი მიმართულება, მათი საგანი და დანიშნულება? ყველა ამ საკითხავებზე ან სულ უნდა ვსდუმდეთ, ან და ძალა-უნებურად იმ გვარი პასუხი უნდა მივსცეთ, რომელიც არაფერს სხივს არ მოჰფენს ჩვენის ქალების ღირსებას...

⁂

— კი, მაგრამ, რა შეგვიძლიან ჩვენ, რა უფლება გვაქვს მონიჭებული, რომ სარგებლობა მოუტანოთ საზოგადოებასაო? იტყვის რომელიმე „ახალ-მოდის" ქალი. ამ გვარი თავის გამართლება ძლიერ მოცვეთილი და მოძველებული ხერხია და არავის არ აჯერებს ამ დროში. ჩვენ მაინც-და-მაინც იმას ხომ არა ვსთხოვთ ქალებს, რომ მათ ვარსკვლავები ჩამოიღონ ციდამ, ან და საპოლიტიკო მჭევრ-მეტყველობა გამოიჩინონ მიტინგებზე... „გული გულობდეს, თორემ ქადა ორივ ხელით იჭმევაო", ნათქვამია, —შრომის სურვილი იყოს და საქმე —მართლა რომ სასარგებლო და გამოსადეგი საქმე, ყოველთვის მოიპოვება. დასამტკიცებლად, —თუ ამ გვარ ჭეშმარიტებასაც დამტკიცება ეჭირვება, —შეგვიძლიან მივუთითოთ შემდეგს მეტად სასიამოვნო მაგალითზე, რომელსაც, ჩვენდა სასიხარულოდ, წავაწყდით ერთს აქაურ გაზეთში.

⁂

ქართლში, სოფ. კახის-ჯვარში, ყოფილა ერთი ახალ-გაზდა თავადი-შვი-

რით, აბანოები და მერე იმისთანა აბანოები, როგორიც ტფილისსა აქვს, მეტად საჭირო და მიუცილებლად საჭირო საგანია მცხოვრებთათვის, ისეთი საგანი, რომელსაც კაცი ვერ შეელევა, თუ თავის-თავის სისუფთავესა და ჯან-მრთელობაზე ჰზრუნავს. ამიტომ საჭიროა და ყოვლად საჭიროც, რომ გაადვილდეს და გაიაფდეს მიმოსვლა აბანოებამდე. როცა ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ომნიბუსები დაიწყობს სიარულს ერევნის მეიდნიდამ აბანოებამდე, ჩვენ ეს ხმა სასიამოვნოდ დაგვრჩა. ომნიბუსების სიარული, რასაკვირველია, ბევრად გააიაფებდა მიმოსვლას, ბევრად იაფად დაუჯდებოდა ხალხს აბანოში სიარული ომნიბუსით, ვიდრე ფაეტონითა ჩვენ გვიკვირს, რომ აქამდე ეს სარგებლიანი საქმე არავინ არ იკისრა და ამას წინად გავრცელებული ხმა ქალაქის ჭორი გამოდგა. ეს მცირე მაგალითიც ცხადად ამტკიცებს ჩვენის ვაჭრისა და ფულიანის ხალხის მოუსაზრებლობასა, მიუხვედრელობასა და სიზარმაცეს.

⁂ არც ჩვენმა ცხენის რკინისგზის გამგეობამ გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა და გამბედაობა ამ საქმეში. იქ, საცა ცარიელის რელსების დაწყობა იყო საჭირო, ჩქარა გააკეთა გზა და შეუდგა ფულების ხვეჭას, ხოლო, საცა ცოტაოდნად საძნელო იყო ეს საქმე და საკმაოდ ხარჯსაცა თხოულობდა, თავი მიანება და, ვგონებთ, ხელიც არ გაუნძრევია აბანოებამდე ცხენის რკინის-გზის გასაყვანად. გამგეობამ ჩუღურეთიდამ რიყის სწორე ქუჩაზე გაიყვანა გზა და შესწყვიტა სირაჯხანასთან, საცა მცირე აღმართი იწყება და საიდამაც სულ ნახევარ-ვერსი აღარ არის აბანოებამდე. სირაჯხანიდამაც რომ გაეყვანა ამ გამგეობას გზა აბანოებისაკენ, გაეტარებინა ავლაბრის ქვემო ხიდზე და იქიდამ გამოეტარებინა ზემო ხიდზე, მთელს კუკიასა, ესრედ-წოდებულს კალონკასა, ჩუღურეთსა და ავლაბრის ჩრდილო ნაწილს ადვილად და იაფად შეეძლო სიარული აბანოებამდე. ხოლო რაიცა შეეხება გამოღმა მხარს ტფილისისას, აქ ცოტა ძნელი იქმნებოდა გზის გაყვანა აბანოებამდე. თამამშოვის ქარვასლიდამ გზა უნდა წასულიყო ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაეხვია მერე მარცხნივ ქვეით მეიდნისკენ, საცა დახვდებოდა ვიწრო ქუჩა მცირე დახურულის ბაზრისა და ვიწრო აღმართი დახურულ ბაზრის ზემოდ. ეს აღმართი შეიძლებოდა მოეთხარათ და მაშინ სიონის ქუჩიდამ თათრის მეიდნამდე სულ გაეკეთებოდა გზა. სიძნელე ცხენის რკინის გზის გამგეობისა, მაშასადამე, მხოლოდ ის იქნებოდა, რომ გაეგანიერებინა მცირე დახურული ბაზარი და აღმართი ქუჩა დახურულ-ბაზარ ზემოდ. მაგრამ ეს სიძნელე და დაბრკოლება დაუძლეველი არ არის. საჭიროა მხოლოდ ფული და ფული კი ეხლანდელს დროში ბევრია, ოღონდ კი ისეთი საქმე იყოს, რომ მერე თვით ამ საქმემ ააყენოს ის ხარჯი, რაც მოინდომა. თუ საქმეა, ფულიც გაჩნდება. თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდამ მოვაო, ნათქვამია. ხოლო ნუ თუ საქმე არ არის, რომ 60—70 ათასს მკვიდრს გამოღმა ქალაქისას იაფად და ადვილად შეეძლოს ზრუნვა თავის სისუფთავესა და ჯან-მრთელობაზე აბანოში ხშირის სიარულითა. ჩვენის აზრით, სუყველაფერს სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ესეც კმარა, რომ ტფილისის საქალაქო გამგეობამ თავისი შველა და დახმარება არ მოაკლოს ცხენის რკინის გზის გამგეობას, თუ მან ითავა და მოისაზრა ეს სასარგებლო საქმე გზის გაყვანისა აბანოებამდე.

⁂ „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს ამ დღეებში ბ-ნს ვასილ ოქრონელს ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი ვახტანგ მეფის კანონებისა. სამწუხაროდ, ამ ხელთ ნაწერს ბოლო თურმე აკლია. საინტერესოა ვიცოდეთ, განირჩევა რითიმე თუ არა ეს ხელთ-ნაწერი სხვა ამ გვარ ხელთ-ნაწერთაგან, და თუ განირჩევა, სახელდობრ, რითი განირჩევა. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა, რომ ეს წიგნი განიხილოს ბ-ნ დ. ზ. ბაქრაძემ, რომელიც ამ ჟამად ამ კანონებს ჰბეჭდავს რუსულად „Юрид. Обоз.“-ში დამატებათა და თან შენიშვნებსაც უწერს ზოგიერთის ბნელის ადგილების განსამარტავად.

⁂ როგორც ვიცით, ამ ჟამად დიდი მუშაობაა ატენს ზემოდ ბ-ნ ერისთვის ტყეში, საიდამაც ერთს მდიდარს ამხანაგობას გამოაქვს ხე-ტყე რკინის გზის შპალად და სხვა საჭიროებისათვის. ამხანაგობას გორის რკინის გზის სადგურიდამ სოფ. ატენამდის რკინისგზის შტო გაუყვანია, რათა ადვილად ჩამოზიდოს ხე-ტყე ამ ხეობიდამ. შტოს გათავებას ზოგიერთი ბოგირების გაკეთება-ღა აკლიაო. ტყე აღებულია 10 წლის ვადითაო.

⁂ სოხუმიდამ გვწერენ, რომ წელს აქ შარშანდელზედ ნაკლებს მოსავალს მოელიან, როგორც სიმინდისას, ისე სხვა ჭირნახულისასაო.

⁂ აფხაზეთიდამ გვწერენ: აქ ისმის, რომ აფხაზეთის კათედრის მღვდელმთავრად ამ მოკლე ხანში მოსკოვიდამ მობძანდება ეპისკოპოსი, რომელიც ამას წინად დაუნიშნავს უწმინდაესს სინოდსაო.

⁂ 1 სექტემბრიდამ 10-მდე ბაქოდამ წაუღიათ შაქარი სპარსეთში 5,566 ფუთი და შაქრის ფხნილი 5,953 ფუთი.

⁂ გაზ. „კავკაზს“ ყური მოუკრავს, რომ ტფილისელი ექიმი ბ-ნი ფინკელშტეინი, რომელიც ოდესაში იყო და გამელეისთან შეისწავლა პასტერის მიერ მოგონილი აცრა ცოფისა, აპირობს ამ ჟამად ტფილისში გამართოს სადგომი და ცოფი აუცრას ხოლმე ცოფიან პირუტყვისაგან ნაკბენებსაო.

⁂ მეთულუხჩეებს ქაღალდი შეუტანიათ საქალაქო გამგეობაში და სჩივიან თურმე, რომ ჩვენ სახელოსნო გამგეობის ხელში უკანონოდ ვართო. ეს გამგეობა ათასს სხვა-და-სხვა ხარჯს გვახდევინებს და არ-კი ვიცით, სად და რისთვის იხარჯება ეს ჩვენგან აღებული ფულიო. ყველგან ჩვენისთანა მუშები საქალაქო გამგეობის უწყებაში არიანო და ჩვენცა გთხოვთ, რომ საქალაქო გამგეობას მიგვაწეროთო. საქალაქო გამგეობამ ეს ქაღალდი ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა შესაბამის განკარგულების მოსახდენადაო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის ბ-ნ ტიხეევის ზედამხედველობით კვლავ დაიბეჭდა ამ ჟამად მესამე ტომი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთ-ეკონომიურის ყოფა-ცხოვრების შესასწავლელად საჭირო მასალებისა. ამ წიგნში სხვათაშორის დაბეჭდილია აღწერა ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრისა, შედგენილი ვერმიშევის მიერ. (გაზ. „კავკაზი“.)

დამაკვირდი!

ხმა-ამოუღებლად მორჩილობა მარტო კანონს შეუძლიან მოითხოვოს. (ბომარშე)

**

ნაცარ-ქექიობა სჯობია, ვიდრე ლაპარაკი იმისთანა კაცთან, რომელიც «ჰოსა და არას» მეტს არას ამბობს. (გეოტე)

**

ცოტა ცოდნა გზაა ცდომილებისა, დიდი ცოდნა კი—ჭეშმარიტებისა.
(ლუი XVIII)

**

ამაღლებულნი დამდაბლდნენ,
ამაღლდნენ დამდაბლებულნი;
მოღვაწე წარწყმდა სილაღით,
ცხონდა სიმდაბლით გნებულნი.
(არჩილ მეფე)

**

ვისაც მორჩენა ეწადოს
ეცადოს პირველ საქმისა,
თვარა გარდასრულს წუხილი
რაღას არგია აქ მასა (მეფე ვახტანგ VI)

**

ერთხელ რომ გემოდ განახოს,
მეორედ რად სჭამ მწარესა!.
(დავით გურამიშვილი)

**

ვაი, სოფელმა სოფელს მეოფი
უგული დასვა ცრემლთა დენით.
(რუსთაველი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ვლადიკავკავი (სოფ. ხუმელაგა), 13-ს ენკენისთვეს. ხუმელაგელების ცხოვრება დამყარებულია პურისა, ქერისა და სიმინდის მოსავალზედ. ხუმელაგაში არ არის ვენახები, რომ პურის ნაკლულევანება ღვინის მოსავლით შეივსონ,—და ამიტომ პურსა, ქერსა და სიმინდზე არიან განსაკუთრებით დამყარებულნი. ხუმელაგელების ბედის ჩარხი, წელს სამწუხაროდ დატრიალდა: ჯერ იყო და მთელმა ზაფხულმა სულ წვიმებით გაიარა, აღარ მისცა ხალხს ამინდმა ნება, რომ სიმინდები კარგად გაეთოხნათ და ამიტომ გასათოხნი დარჩათ სიმინდები. მერე სეტყვამ დაჰკრა სიმინდებს და იმითი დაალონა ხალხი. ეხლა კიდევ ცივი შემოდგომა დადგა და როგორც ვხედავთ, საბრალო ხუმელაგელებს სულ ხელს აღებინებს სიმინდებზედ, რადგანაც გრილის ზაფხულის გამო თავის დროზედ ვერ შემოვიდა სიმინდები.

აქამდე რაც იყო იყო, კიდევ ღმერთს მადლობასა ვსწირავდით, მაგრამ ახლა შეიქმნა მთელი სოფელი შესაბრალისი. ხუმელაგელები სალეწ მაშინით ლეწამენ ხოლმე თავიანთ წლის მოსავალ პურს და ამიტომ მთელს სოფელს მაშინასთან ჰქონდათ დადგმული ძნები. ამ თთვის 9-ს გათენდა დილა, მაგრამ მტერსა და დუშმანს გაუთენდეს ისეთი დღე, როგორიც ხუმელაგელებს გაუთენდათ. იქნებოდა საათის 11-ი, რომ გაუჩნდა ცეცხლი ძნებს და 300 კომლის გლეხის წლის მოსავალი პური ერთის საათის განმავლობაში შეიქნა ცეცხლის მსხვერპლი. ცეცხლი გაუჩნდა ძნებს თვით მაშინის მუშების გაუფრთხილებლობის გამო. აი როგორ: თურმე ცოტა მოშორებით მუშებს აენთოთ ჩალით ცეცხლი დილით ხელების მოსათბობად, მერე, თუმცა გაექროთ ცეცხლი, მაგრამ დარჩომოდათ კიდევ ჩალაში. ჩალაში ცეცხლი გაღვივებულიყო და დასავლეთის ნიავს წამოეღო ძნებისკენ. ძნებამდინ როგორც მისულიყო, მაშინვე დაეწყოთ ქრობა, მაგრამ,—ერთ საათში, თითქო გარშემო ნავთი შეუმოსხამთო, ისე შემოურბინა ცეცხლმა გაფიცხებულ ძნებს. მთელი სოფელი გარს შემოერტყა, მაგრამ ერთი ძნაც ვერ გადაარჩინეს. ერთის სიტყვით, კაცს ქვის გული რომ ჰქონოდა, მაინც აუდუღდებოდა ცოდვით, მაგრამ ძნის პატრონი ოსები ისე იყვნენ, თითქო არაფელი ზარალი არ მოსვლიათო, მხოლოდ საბრალო დედა-კაცები იკაწრიდნენ თავ-პირს და ლოყებზედ წითლად ჩამოსდიოდათ სისხლი. კაცებისაგან კი მხოლოდ მოისმოდა შემდეგი სიტყვები: „რა ვქნათ, ალბად ღმერთს ესე სურდა და ესე აღსრულდაო“.. ძნები, როგორც იანგარიშეს სოფლის მოხელეებმა, სულ დაიწვა 3,050 მანათისა, ხოლო თვით სალეწი მაშინაც ჰღირდა 1000 მან. და ისიც სულ გადასწვა ცეცხლმა.

ქართველი ოსეთში

ლის ქალი ს., რომელიც მართლა რომ გასაოცარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს დროში. «ქ-ნი ს., ამბობს მასზე კორრესპონდენტი, არც ერთს სასწავლებელში არაა ნამყოფი, მაგრამ თავის მხნეობით და წიგნების სიყვარულის წყალობით იმდენად განვითარებული და გონება-გახსნილი ადამიანი არის, რომ ვერ შეედრებიან ვერც ერთი გიმნაზიაში, ან ინსტიტუტში ნასწავლი ქალები, რომელნიც სასწავლებელიდამ გამოსვლის შემდეგ, გულ-ხელ დაკრეფილნი სხედან სახლში და გაფაციცებით ეძებენ საქმროებსაო. „ტიურნიურების“ და „პერჩატკების“ მაგიერ, იგი ხარჯსა სწევს მარტო წიგნების სასყიდლად და, რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ ამ გზით მოაწონოს ვისმეს თავი, არამედ იმ აზრით, რომ ეგებ მოეხმაროს მტერს და მოყვარეს და შეღავათი მისცე უმეცრებით დაჩაგრულ მდაბიო ხალხსაო. სოფ. კახის-ჯვარში, გლეხების გარდა, პ—ძე და ჩ—ძეები—ღარიბი აზნაურებიც არიან, რომელნიც სწავლა-განათლებას ისე უყურებენ, როგორც მათთვის მიუწდომელ ნეტარებას. ქ-მა ს. მოინდომა და სინათლის სხივი მოჰფინა აქაურებს: მისის მეოხებით ეხლა ყველა აზნაურთ ქალის-შვილებმა იციან ქართული და რუსული წერა-კითხვა, ხელ-საქმე და, საზოგადოდ, იმდენად შეუთვისებიათ სხვა-და-სხვა ელემენტარული ცნობები, რომ შეუძლიანთ განათლებულ ქალებად ჩაირიცხონ თავი. ამის გარდა იმავე თავადის-შვილის ქალმა მოამზადა (რასაკვირველია, უსასყიდლოდ) ბევრი აზნაურების ყმაწვილები და მიაღებინა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გვარის ქცევით მან განუსაზღვრელი ნდობა და სიყვარული შეიძინა ახლო-მახლო მცხოვრებლებ შორის; გახდება ვინმე ავად, თუ რამე სხვა უბედურობა მიადგება კარზე, ყველა მასთან მიდის და ჰპოულობს ნუგეშს და დახმარებას. მე თვითონ მოწამე ვარო, ამბობს კორრესპონდენტი, რომ ამ ახალგაზდა ქალი-შვილთან მოდიან გლეხები არა თუ ქინაქინისა და სხვა წამლეულობისათვის, არამედ თვით საადგილმამულო და სხვა დავების გადასაწყვეტათაო. მაგალითად, ჩემს იქ ყოფნაში მოვიდნენ ს.-თან ორნი მოდავენი—ვილაც ორი ადგილობრივი გლეხი, რომელნიც ვერაფრის გზით ვერ მორიგებულიყვნენ ერთის ხანჯლის გამოვო და ეს ორის წლის დავა, ზემოხსენებულის ქალი-შვილის წყალობით სამუდამოდ გადაწყდა ათს წამშიო“...

⁂

დაკვირდით ამ მარტივს, თუმცა კი საგულისხმო, ამბავს და თვითონვე გაზომეთ: რა საშინელი მზღვარი ჰდევს კახის-ჯვარელის ქალი-შვილისა და ჩვენ „ტიურნიურიანებს“ შორის. ერთის მხრით ცხადად და გარკვევით აღნიშნული ცხოვრების საგანი სჩანს, ხოლო მეორეს მხრით—სრული და იმავე სიცხადით გამომსჭვირავალი არარაობა. იქ—წრფელი, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემაა, აქ კი—საზოგადო გულგრილობა და აბუჩად აგდება... განგებ რომ მოინდომოს კაცმა, ორს ამ გვარს შეუდარებელს უწვერვალესობას, ბევრიც რომ ეძიოს, ვერ მონახავს. ან და რა საერთო უნდა ჰქონდეს მოყვასთადმი სიყვარულით აღსავსე გულს და ნამდვილ განათლებას წვრილმან ვნებათა საბუდარ გულთან და „მოდნურ“ მაიმუნობასთან...

⁂

რასაკვირველია, მე აქ არც არავის ქება მსურდა და არც ვისმეს ძაგება მქონდა სახეში. კახის-ჯვარელ ქალს და მის თანამოაზრეთ ქება არა სჭირათი, ხოლო „ტიურნიურიანები“ კი რამდენიც უნდა აძაგოთ, მაინც „ტიურნიურიანებად“ დარჩებიან. მე მინდოდა მხოლოდ აღმენიშნა ამ წერილით ზემო-მოყვანილი ახალი მოვლენა,—ის საიმედო მოვლენა, რომელიც ამ გვარ შარავანდედს ჰფენს ჩვენს დედა-სქესის ახალ-თაობის ზოგიერთს წარმომადგენელს და საყოველთაო პატივისცემით გარემოცულს სახელს უქადის სამერმისოდ. ღმერთმა ჰქმნას, რომ გამრავლდნენ ამ ახალ-თაობის წევრნი, რომ მათი შრომა და ღვაწლი იმ გვარივე თვალ-საჩინო იქმნეს, როგორათაც შეჰფერის ქართველის ქალის ნამყოსს და მოვალეობას... მაშინ „ტიურნიურიანობაც“, როგორც დამახინჯებულის ცხოვრების უგვანი შედეგი, გაჰქრება სამუდამოდ და შთამომავლობასაც უფრო მეტი უფლება ექნება განიმეოროს ჩვენის დროის ქალებზე უკვდავის პოეტის სიტყვები:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!..“

ილია ხონელი

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ

ბატონო რედაქტორო!

ჩვენი ტფილისის თავად-აზნაურობის სკოლა ამ ჟამად შესდგება ოთხის მოსამზადებელის განყოფილებისა და ხუთის გიმნაზიის კლასისაგან. ეს სკოლა მტკიცე საძირკველზედ არის დამყარებული, თავის დანიშნულებას წესიერათ ასრულებს, ხოლო ეხლა ჩვენს საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული, რომ ამ სკოლას დაეხმაროს და მისცეს შემწეობა, როგორც ამ ოთხის წლის წინად თავად-აზნაურობამ საზოგადო კრებაში გადასწყვიტა. ადვილად შესაძლებელია ეხლა, თუ სკოლას ექნება ფულით ღონისძიება, ვითხოვოთ მმართებლობისაგან, რომ ამ სკოლას მიეცეს იგივე ღირსება და უფლება, რაც ეხლა სახელმწიფო გიმნაზიებსა აქვსთ. ჩვენ, ამ სკოლის გამგე კამიტეტის წევრნი, ვალად ვრაცხთ, რომ ამ სკოლის გაუმჯობესობისა და წესიერად სწავლის წაყვანისათვის გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ვასილი როსტომის ძეს ყიფიანს, რომელიც ოთხი წელიწადი იყო ინსპექტორი ამ სკოლისა და ეხლა ავად-მყოფობის გამო ითხოვა განთავისუფლება ამ თანამდებობისაგან. ვასილი როსტომის-ძე ყიფიანი, როგორც წარჩინებული პედაგოგი, ძვირფასი იყო სკოლისათვის და ამის სახელი დაუვიწყარი იქნება, როგორც დიდად პატიოსანისა და მოღვაწე კაცისა და როგორც ნიჭიერისა და გამოცდილის მასწავლებელისა. გულს-მოდგინებით ვისურვებთ, რომ ვ. რ. ყიფიანი სრულებით განიკურნოს თავის ავად-მყოფობისაგან და ისევ იმ ასპარეზზედ იმოღვაწოს, რომელზედაც აქამდის ისე ერთგულად ემსახურებოდა ჩვენს საზოგადოებასა.

თავმ-მჯდომარე გამგე კომიტეტისა
კონსტანტინე მამაცაშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

«ინგლისს არა სძინავს; ჯონ-ბულს ძილი საზოგადოდ ჩვეულებად არა აქვს და დღეს ხომ უფრო მეტად ფხიზლობს, რადგანაც აქეთ-იქიდამ ათას გვარი საქმე დაატყდა თავსაო», — ასე იწყებს დღეს გაზეთი „Русскій Курьеръ"-ი თავის მეთაურს წერილსა.

> რამდენი დავიდარაბა აუტყდა მარკიზ სალისბერისაო,—ამბობს ერთი პეტერბურგის გაზეთი,—ბოლგარია ხელიდამ ეცლება, ეგვიპტეში თავს იღებს და ხმას იმაღლებს აქამდინ მიჩუმებული საფრანგეთი, აზიაში სახანო სამფლობელო რუსეთს თვითონვე უვარდება ფეხ-ქვეშ... საბრალო ბრიტანიის ლომი...

ჩვენ კი წინადაც გვითქვამს ჩვენს გაზეთში და ეხლაც ვიმეორებთო, განაგრძობს გაზეთი, რომ ფხიზლად უნდა ვადევნოთ ყური ინგლისის ყოველს ნაბიჯს;...

> ინგლისის სამხედრო გემები ეგეის ზღვებში დადიან, ჰერცოგი ედინბურგისა და ინგლისის ტახტის მემკვიდრე, პრინცი გიორგი უელისა სულთანთან მოვიდნენ,...
>
> გარდა ამისა, ხმებია, ვითომ ინგლისს უნდოდეს ეგვიპტე სამუდამოდ მიიჩემოს, კიპრი ხელში ჩაიგდოს და კუნძული თასოც, რომელიც კოლხიდის ნახევარკუნძულ და დარდანელ შუა სძევს, დაიჭიროს..., ოსმალეთიც გულ-ხელ დაკრეფილი არა ჰზის; ამბობენ, ვითომ ოსმალეთი დიდ ჯარებს ამზადებს და განზრახვა აქვს აღმოსავლეთი ისევ თავისკენ მიიჭრასო....

* *

გაზეთ «Новое Время»-ში ვკითხულობთ:

> სტამბულოვს, რომელიც ოდესის სემინარიაში სწავლობდა და სწავლა ვერ შეასრულა, როგორც ეტყობა, ბევრი ერთგული მეგობარი შეუძენია ამ ქალაქში. და აი დღეს ეს მეგობრები დიდს სამსახურს უწევენ სტამბულოვს: ოდესის გაზეთებში ცამდინ აჰყავთ სტამბულოვი, დიდ ნიჭიერ კაცადა სთვლიან, დიდს ქებასა და დიდებას უძღვნიან მის ჭკუას, გამჭრიახობასა; ამასთანავე, რასაკვირველია, არაფერსა ჰზოგავენ, რომ ბოლგარიის პატიოსანი პატრიოტები დაამცირონ და ტალახში გაჰსვარონ. რა ცილს არა ჰსწამებენ, მაგალითად, გრუევსა, ბენდერევს და სხვა აფიცრებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბატენბერგის ტახტიდამ გადმოგდებაში!—გრუევი და ბენდერევი მთვრალები შეუცვივდნენ ბატენბერგს და ისე დაატუვევესო, გრუევმა და ბენდერევმა ფულით სავსე ყუთი მოიპარეს, რომელიც მთავრის საკუთრება იყოვო...

რუსეთი

— სახელმწიფოს ამ წლის აგვისტოს თთვის განმავალობაში სულ 752,380 მანათი შემოჰსვლია დეპეშების გასაგზავნი ფული. 14,537 მანათით მეტი იმაზედ, რაც წარსულ წლის აგვისტოს თთვეში შემოსულა. სულ 1 იანვრიდამ 1-ლ სექტემბრამდე 5,470,525 მანათი შემოსულა, წარსულ წელს-კი ამავე ხნის განმავლობაში 5,477,953 მანათი შემოსავალი ყოფილა.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულს ფაკულტეტზედ, ამბობს გაზ. „Край", აარსებენ ახალს კათედრას „ვიზანტიის უფლებისას". ამ კათედრაზედ პროფესორად ინიშნება დეკანოზი გორჩაკოვი. ევროპიის დასავლეთ სახელმწიფოების უფლების კათედრა კი გაუქმებული იქმნებაო.

—

უბედურება ნიკოლაევის რკინის გზაზედ.

8 სექტემბერს, დილის $10^1/_2$ საათზედ, ნიკოლაევის რკინის გზის სადგურ ლიუბანის ახლო საშინელი უბედურება მომხდარა. მატარებელი № 16 გამოსულა ბოლოგოეს რკინის გზის სადგურიდგან ღამის 12 საათსა და 15 წუთზედ; მისულა ლიუბანის ქვემოდ ხიდთან, რომელიც რკინის გზის სადგურიდგან 200 ვერსტზეა, უკანასკნელი ვაგონი გზიდგან გადასხლეტილა, მატარებელს მოჰშორებია და ძირს გადავარდნილა ოთხ საჟენის სიმაღლიდამ. ეს ამბავი მაშინვე ვერ შეუტყვიათ, რადგან ვაგონს გადავარდნის დროს დეპეშის მავთულები დაუწყვეტია. მატარებელი $1^1/_2$ საათის შემდეგ მისულა პეტერბურგში და თან წაუყვანია ის დაჭრილები, რომელთაც ფეხზე დგომა შესძლებიათ და მძიმედ არა ყოფილან დაშავებულნი. ამ მატარებლით 15 სული დაშავებული მიუყვანიათ. ამათში ორი დედა-კაცი სამკურნალოში გაუგზავნიათ. ერთს ფეხი აქვს მოტეხილი და მარჯვენა ლავიწი დამტვრეული; მეორე ძალიან დაშავებულა, რაღასაც მოჰყოლია ქვეშ და სულ იმასა სჩივის, რომ გული მტკივაო. ორივენი ფეხ მძიმეთა ყოფილან. დანარჩენი 13 კაცი თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნებულან, ისე სუბუქადა ყოფილან დაშავებულნი.

ამ უბედურობის ამბავი გავრცელებულა მთელს ქალაქში და მეორე მატარებლის, № 8-ს დასახვედრად რკინის გზაზე ბევრი ხალხი შეყრილა. მატარებელი 3 საათსა და 15 წუთზედ უნდა მოსულიყო. ეს დრო რომ მოახლოვდა, რკინის გზის სადგურზედ გამგეობამ შემდეგი განცხადება გამოჰკიდაო, ამბობს „С.-Петерб. Вѣд."-ი: მატარებელი № 8 3 საათსა და 15 წამის მაგიერ, 4 საათსა და 10 წამს მოვა; გზაზედ არაფერი უბედურება არ მომხდარა.

მატარებელი რომ მოსულა, ხალხი შემოჰხვევია გარშემო. მეორედ სულ სამი დაჭრილი მოუყვანიათ: მძიმედ დაჭრილიყვნენ ობერ-კონდუქტორი და კონტროლიორი და ერთი დედა-კაცი მძიმედ დასახიჩრავებულიყო. ჯერ საკაცეთი ობერ-კონდუქტორი გამოუყვანიათ. ხალხში ხმა დადიოდა, რომ ობერ-კონდუქტორს გული და ფერდები აქვს ჩამტვრეულიო. ამის შემდეგ ორმა კაცმა გამოიყვანეს კონტროლიორი. თითქმის ხელით მოჰქონდათ. ძალიან მძიმედა ჰქონდა მარცხენა ფეხი დაშავებული. მესამეს—ქალს-კი ორივე ფეხები მომტვრეული აქვსო, ამბობს გაზეთი. სამივე დაჭრილი სამკურნალოში გაუგზავნიათ.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟიდამ სწერენ „Politiche Correspondenz"-ს: „გუშინ მოგვივიდა ამბავი, რომ რუსეთი თავის კამისარსა და ოცს მაღალის ხარისხის აფიცერს ჰგზავნის ბოლგარიაშიო; ავსტრიამ გამოაცხადა, ვითომ, მე არ დავეთანხმები, წინააღმდეგობას გამოვუცხადებ და სულთანი კი თავის ამორჩეულს კაცებს უკანვე დაიბრუნებს და რუსეთს დაუთმობს ადგილსაო. ამბობენ, რომ ყველანი საომრად ემზადებიანო, თუმცა ამ ხმას უმეტესს ნაწილად ინგლისის გაზეთები ავრცელებენ, რომელთაც ჯავრით არ იციან, რა ჰქმნან და გულს იმითი იფხანენ, რომ ცდილობენ აღმოსავლეთის საქმე უფრო აწეწ-დაწეწონ. დიპლომატებს კი იმედი აქვთ, რომ არავითარი ამბოხება და უთანხმოება არა მოხდება-რაო. თუ აქამდინ მშვიდობიანობა სუფევს, ამას იქითაც შეიძლება მშვიდობიანობა დავიცვათ დიპლომატიურის გზით ბერლინის ხელთ-შეკრულობის თანახმადაო. თუ ეხლა რუსეთი ცოტათი დაარღვევს ამ ხელთ-შეკრულობას, დიდნი სახელმწიფონი განგებ თვალებს დაჰხუჭავენ და არაფერს დაინახავენო. რაც შეეხება ინგლისს, ინგლისი განცალკევებულია, ხმაჩუმებული და არაფერს საქმეში არ ერევაო. მაინც თვალ-ყური უნდა ვადევნოთ ინგლისს, თორემ, როგორც ხმა ისმის, განუზრახავს სხვა ადგილას სამაგიერო აიღოს და ევროპაში ოსმალეთს კი თავი დაანებოსო. ერთად-ერთი რიგიანი მოადგილე პრინცის ალექსანდრესი პრინცი ოლდენბურგისაა, მაგრამ დასთანხმდება და იკისრებს ბოლგარიის მთავრობას, თქმა არ უნდა, რომ პრინცი რუსეთში უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ბოლგარიაში. რაც უნდა იყოს კარგი იქმნებოდა, რომ ჩქარა გადაწყვეტილიყო ეს საგანი საერთო მშვიდობიანობის დასამყარებლად და ბოლგარიის ერის დასამშვიდებლად. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია და დიპლომატიურს გამათობასაც მოელიან ამ ამ საქმის გამოვო."

ოსმალეთი. სტამბოლიდამ ამბავი მოდის, რომ ოსმალეთი თავის უკანასკნელს შეძლებას ჯარის შეიარაღებას ანდომებსო. მართლაც, ისეთს მდგომარეობაშია საზოგადოდ ეხლა საქმეები, რომ არ შეიძლება ოსმალეთმა ქისას პირი მოჰკრას და ფული დაზოგოსო. ოსმალეთის სადიპლომატიო წრეებში არა სჯერათ, რომ რუსეთს მართლა სტამბოლის აღება უნდოდესო და იმას უფრო ჰფიქრობენ, რომ რუსეთს უნდა ოსმალეთი თავის ხელ ქვეშ იყოლიოსო, და ამაზედ დიდი კამათობა და ბაასი აქვსთ აღძრულიო. მოუთმენლად მოელიან ტორნტონის დაბრუნებას. თუ ვინიცობაა ტორნტონი სანუგეშო ამბებს არ მოუტანს ოსმალეთს, ადვილად შესაძლებელია, რომ ოსმალეთი უფრო-და-უფრო დაუახლოვდეს რუსეთსაო.

ავსტრი-ვენგრია. პეშტიდამ ატყობინებენ „Neue Freie Presse"-ს: ხოლერა, როგორც ეტყობა, თან-და-თან სუსტდება. გამოცხადებულია, რომ გუშინ რვა გამხდარა ავად და ერთი მომკვდარა ამ ჭირით. გუშინ მოკვდა აგრეთვე ორი კაცი, რომელნიც ადრე გახდნენ ხოლერით ავად. დღეს სამკურნალოში სულ ოთხი ავად-მყოფი მიუყვანიათ. გუშინდელს შემდეგ აღარავინ გარდაცვლილა.

გასართობი

შეუძლიან თუ არა კაცს წვიმა მოიყვანოს. ყველამ იცის, როგორ აწუხებს ხოლმე კაცსაცა და მოსავალსაც გვალვა, უწვიმობა. დიდი ხანია ჰფიქრობდნენ, რომ როგორმე ეშველათ ამ საქმისთვის, რაიმე საშუალება მოეგონათ, რომ როცა დასჭირდეს კაცს, მაშინ შეიძლებოდეს წვიმის მოყვანა. დღეს ამ საშუალებას მიმხვდარან. ამ ახლო ხანებში ავსტრალიაში უცდიათ ეს საშუალება და მართალიც გამომდგარა—წვიმა მოუყვანიათ. აი როგორ მიუგნიათ ამ საშუალებისთვის: დიდი ხანია, მსწავლულებისგან შენიშნული იყო, რომ ომის დროს, როდესაც ბევრს თოფს და ზარბაზანს სცლიან, ჰაერში რაღაცა ცვლილება ხდება: ცაში ღრუბლები ირევა, ნაწყვეტი ღრუბლები დიდ შავ ღრუბლად გარდიქცევა ხოლმე და თან წვიმა მოსდევს. იფიქრეს,—არ შეიძლება სხვა დროსაც ამ გზით წვიმის მოყვანაო? სცადეს:—„ჰაერის ბურთის" შემწეობით მაღლა ჰაერში აიტანეს ადვილად ასაფეთქებელი ნივთიერება, დინამიტი, და იქ ააფეთქეს: შეირყა ჰაერი, გაფანტული წყლის-ნამები, რომელიც ყოველთვის არის ჰაერში, შეჯგუფდა, გაჩნდა ღრუბლები და მოჰყვა თან წვიმა.

დავიწყებული პატიმარი. ამ ჟამად პოლშურს ჟურნალ „Kraj"-ში იბეჭდება მეტად საყურადღებო წერილები ქალ. ჩერტონიისკისა. სხვათა შორის ამ წერილებში შემდეგი ამბავია მოთხრობილი. „ერთმა ახალგაზდა პოეტმა პომპადურზე ლექსები დასწერა და მასხარად იგდებდა პომპადურს. ამის გამო საბრალო პოეტი დააპატიმრეს ბასტილიაში, სადაც სრული ოც-და-ჩვიდმეტი წელიწადი იყო დატუსაღებული. ტენიანსა და ბნელს ოთახში იყო თურმე დამწყვდეული ამდენის ხნის განმავლობაში. ყველას დავიწყებოდათ იმისი დატუსაღება და ამ ტომაც დარჩენილიყო ამდენს ხანს. რამდენისამე წლის შემდეგ ტუსაღს საიდგანღაც ეშოვნა პატარა ნაჭერი ქაღალდისა, ნახშირით დაეწერა ამ ქაღალდზე თავისი უბედური და შესაბრალისი მდგომარეობა და ქაღალდი ფანჯარიდგან გადაეგდო. ამ დროს ფანჯრის ახლო გაიარა თურმე ერთმა ღარიბმა დედაკაცმა, იპოვნა ბარათი, წაიკითხა და დაიფიცა თურმე, რომ „რაც უნდა მომივიდეს, დავიხსნი ამ ტუსაღს როგორმე ტანჯვისაგანაო". დიდხანსა სცდილობდა თურმე ეს დედა-კაცი ტუსაღის განთავისუფლებასა და ციხიდგან დახსნას, დახარჯა რაც მოგროვილი ფული ჰქონდა, გაჰყიდა თავისი ვერცხლეული და ყველა ძვირფასი ნივთები და ისე თავი გამოიდო ამ საქმისთვის თურმე, რომ ბოლოს თავის თეთრეულსაც კი დაუწყო ყიდვა. დასასრულ, ორის წლის შემდეგ, ამ დედა-კაცმა იმდენი ეცადა და ეწვალა, გაანთავისუფლა დავიწყებული პატიმარი, მაგრამ... მაგრამ ახალგაზდა პოეტს ადამიანის სახე აღარა ჰქონდა თურმე, ლაპარაკს გადაჩვეულიყო და მეხსიერება და აზროვნება დაჰკარგოდა.

გამბედავი სკოლის შეგირდი ქალი. ამ რამდენისამე დღის წინად კოროლ ჰუმბერტს შემდეგი ახირებული წერილი მიუღია: „დიდებულო მეფევ! ბევრჯელ გამიგონია, რომ დედოფალს მშვენიერი და ძვირფასი კაბები აქვსო და ძალიან გულით მინდა, რომ ერთხელ ვნახო მაინც. დედოფალი, როგორც გავიგე, სხვაგან წასულა, მაგრამ უეჭველია თქვენც გექნებათ გასაღები. ეხლა სასწავლებელიდგან დათხოვნილი ვარ, რადგან ზაფხულია და დიდად დამავალებთ, თუ ამისრულებთ სურვილს და მომწერავთ, როდის მოვიდე დედოფლის კაბების სანახავად. მარიეტტა ლეონი, მე-5 კლასის შეგირდი." მეფეს თავის მდივნის ხელით შემდეგი წერილი გაუგზავნია ამ ქალისთვის: „ჩემო კარგო მარიეტტა! მეფემ მოგიკითხა და მთხოვა გადმოგცე, რომ არ მოსწონს შენი ცნობისმოყვარეობაო. ეგეც რომ არ იყოს, მაინც არ შეუძლიან შენი სურვილი დააკმაყოფილოს, რადგან დედოფალი კარგი დიასახლისია და წასვლის წინად თავისი ტანისამოსი და სამკაული მძიმედ შეახვია და დაკეტილში შეინახაო."

დეპეშა

16 სექტემბერს.

ლონდონი. „Times"-ი ამბობს: არც ერთი დიდი სახელმწიფო არ დაუწყებს ქომაგობას ბოლგარიას იმ აზრით, რომ ხელი შეუშალოს მას გარუსებასაო. ეს გარუსება ბოლგარიისა ეხლა სწრაფად და მშვიდობიანად სწარმოებსო. „თუ რუსეთმა მოახერხაო, ამბობს ეს გაზეთი—და ფეხი გაიმაგრა დუნაის სამხრეთად, ოსმალეთმა თავის-თავს უნდა დააბრალოს და არა სხვა რომელსამე დიდ სახელმწიფოსაო: ოსმალეთი მუდამ უარზე იდგა და არ უნდოდა თავად ეტვირთნა ბალკანიის სახელმწიფოთა მოწყობის საქმეო; ეს ტვირთი ეხლა თავს იდვა რუსეთმაო, რასაკვირველია, იმიტომ-რომ აქედამ თავის საკუთარს სარგებლობას მოელისო; სხვა ერთათვის ძალიან ძნელია ამ საქმეში გაერიონ, თუნდაც რომ უნდოდეთ ესაო; ევროპა სხვაფრივ ვერ მოიქცევაო. ამის მიზეზი ის არის, რომ ვერავინ ვერ უშველის ოსმალეთს და მხარს ვერ მისცემს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა, რათა ოსმალეთი მკვიდრ ბურჯად გადიქცეს და წინ გადაეღობოს რუსეთსაო.

სოფია. კაულბარსმა აცნობა როდოსლავოვს ყოველივე, რასაც რუსეთის მთავრობა ითხოვს ბოლგარიისაგანაო და დაუმატა, რომ თუ რუსეთის სურვილს არ შეასრულებს ბოლგარიის მთავრობა, ხელმწიფე იმპერატორს ეწყინებაო. როდოსლავოვი დაჰპირდა, რომ მინისტრებს შეჰკრებავ მაგ საქმის თაობაზედ მოსალაპარაკებლადაო. კაულბარსმა სთქვა, რომ ახლანდელს ყოფაში მოწოდება დიდის საერო კრებისა უკანონო საქმე იქნება და მის გარდაწყვეტილებათ რუსეთისთვის მნიშვნელობა არ ექმნებაო. კაულბარსმა ურჩია,

რომ შიშიანობის წესნი მოესპოთო. ბოლგარიის მთავრობა იმ აზრისაა, რომ გადადება და დაგვიანება დიდის საერო კრების მოწოდებისა და მთავრის ამორჩევისა შეუძლებელიაო, არეულობის მონაწილეთა განთავისუფლებაც მთავრობას როგორდაც არ უნდაო.

17 სექტემბერს

სოფია. ბარონ კაულბარსმა ბოლგარიის მთავრობას გარდასცა ნოტა. ამ ნოტაში კაულბარსი ამბობს, რომ, რუსეთის მთავრობის აზრით, მოწოდება დიდის საერო კრებისა უიმისოდ, რომ დიდი ხანი არა ჰქონდეს საარჩევანო მოსამზადებლად, უკანონო საქმე იქმნებაო და ამისგამო ყოველი მისი გარდაწყვეტილება შეუწყნარებელი დარჩებაო. ბარონი კაულბარსი ურჩევს ბოლგარიის მთავრობას, რომ არჩევანები რაც შეიძლება დიდის ხნით გადასდეთ, რათა მანამდე ქვეყანა ეხლანდელის აშლილობისაგან დალაგდესო. ამასთან სასურველი იქმნებოდაო, უთქვამს ბარონ კაულბარსს, რომ შიშიანობის წესნი გაუქმდნენ და საარჩევანო მზადებამ დიდხანს გასტანოს, თორემ ქვეყანა თავის სურვილს თავისუფლად ვერ გამოსთქვამსო.

ბარონმა კაულბარსმა გადასცა დღეს ნოტა ბოლგარიის მთავრობას და პირადაც შემდეგი უთხრა მთავრობის წევრთა და იმათაც, ვინც მასთან მივიდა სანახავად: „უპირველეს ყოვლისა ხელმწიფე თხოულობს, რომ ბოლგარიის მთავრობა სრულის ნდობით ექცეოდეს რუსეთსაო; მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა. აქამომდე იმპერატორს მხოლოდ სიტყვა და სიტკბიერი აღთქმა ესმოდა ხოლმე, ეხლა-კი, მის უდიდებულესობას ჰსურს, რომ თვით საქმე იხილოს: საჭიროა რომ ბოლგარია სრულიად სხვა ნაირად იქცეოდეს რუსეთის მიმართ; თუ გსურთ, რომ იმპერატორმა ბძანოს: ბოლგარია ეხლა ჯეროვანს გზას დაადგაო, ისე აღარ უნდა მოიქცეთ, როგორც აქამდე იქცეოდითო. რუსეთს ვერ გაუგია, როგორ მოხდა, რომ ბოლგარებმა ერთსა და იმავე დროს ორი ისეთი ერთმანეთის წინააღმდეგი საქციელი ჩაიდინეს: დეპეშა გაუგზავნეს იმპერატორს და დიდსა და უცვალებელ ერთგულებასა ჰპირდებოდნენ და ადრესი კი ისეთი შეიწყნარეს, რომელშიაც მხოლოდ წუხილი და სინანული იყო წარსულის გამოვო. მაინც საჭიროა ის ფიქრი შეითვისოთ, რომ ალექსანდრე მთავარი ვერას დროს ვეღარ დაბრუნდება სოფიაშიო. ყველა პირობა რაც კი მე მაქვს მონდობილი, რომ ბოლგარებს გამოვუცხადო, უკვე გადაწყვეტილია და გათავებულიო. არჩევანები დიდის საერო კრებისათვის რომ ისე სწრაფად მოხდეს, როგორც მთავრობას დაუნიშნავს, ერი ვერ გაიგებს, რა საგანი აქვს გადასაწყვეტი კრებასაო. ამ საგანს როგორ მიხვდება ერი რამდენისამე დღის განმამავლობაშიო? რუსეთი საჭიროდ ჰხედავს, რომ ორის თვის ვადა დაინიშნოს შიშიანობის წესთა მოსპობიდამ არჩევანების დაწყობამდეო; თუმცა ასეთი ვადა ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაო, მაგრამ საჭიროაო. ყველა დასს უნდა მიეცეს ნება, რომ თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა არჩევანებშიო. ეს არ მოხდება, რასაკვირველია, თუ-კი მთავრობა არ გააუქმებს იმ ბრძანებათა რომელნიც გამოცხადებული იყო ყოველისფრის წინაამდეგაო. ბარონმა კაულბარსმა შემდეგ სთქვა: მიკვირს, რომ მთავრობას ისეთი ზომანი მიუღია, თითქო პოლიცია იყოსო. სოფიაში, ვინც თურმე შედიოდა რუსეთის საელჩოში, ან ვინც ჩემს მოსაგებებლად გამოვიდა, ყველა საეჭვო კაცებად მიუჩნევიაო.

ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ბოლგარიის მთავრობას მორიგება უნდა რუსეთთან, მაგრამ გულში კიდევ სხვა განძრახვა აქვსო. ეს სახიფათო საქციელია და თუ ბოლგარები სხვა დიდთ სახელმწიფოთ დაეკითხებიან, როგორ მოვიქცეთ და როგორ ვიმოქმედოთო, ისინიც იმას ურჩევენ, რასაც რუსეთი ურჩევსო. ბარონ კაულბარსი დიდადა ჰკიცხავდა ბოლგარებს, რათ დასწვით დროშები იმ რაზმებისა, რომელთაც მთავარ ალექსანდრეს ტახტიდგან გადაყენებაში მონაწილეობა მიიღესო; დროშა ისეთი სიმბოლოა, რომელიც უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე საქმენი კაცისანიო. ვსთქვათ მოძღვარი რაიმე დანაშაულისთვის დავსაჯოთო;—სთქვა ბარონ კაულბარსმა,—განა ამიტომ ცეცხლში უნდა დავწვათ ის ჯვარიც, რომელიც მოძღვარს ხელში ეჭირა ხოლმეო? რუსეთის დიპლომატიურმა აგენტმა მოიხსენია აგრეთვე დაწვა წმ. გიორგის ნიშნებისა, რომელიც ის დროშები იყო გამოხატულიო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უჯო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

18 დღე ხუთშაბათი. ღირს. ევგენი და სხ. წმ. ბიძინა და თავადთა ელიზბარ და შალვა ქსანის ერისთავთა, წამებულნი შირაზში, 1664 წ. კათოლ. წმ. იოსებ კუპერტიელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—58 ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 5—44; მთვარე ამოდის 8—50. ჩადის 7—26.

19 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ტროფიმესი. კათოლ. წმ. ეპისკ. იანუარია და მოწ. ამხანაგთა. სომეხ. მარხვა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—39. ტფილისში მზე ამოდის 5—56, ჩადის 5—42; მთვარე ამოდის 9—55, ჩადის 8—4.

20 დღე შაბათი. წმ. მოწ. ევსტათესი. კათოლ. წმ. ევსტათესი და მის ამხანაგთა. გაიმართა ტფილისში რუსული თეატრი, 1846 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—20. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 5—40; მთვარე ამოდის 10—59, ჩადის 8—49.

21 დღე კვირა. წმ. მოც. კონდრატესი დაბადება მ. უმ. პავლე ალესანდრეს ძისა; სახელ-წოდება მ. უმ. დიმიტრი კონსტანტინეს-ძისა. კათოლ. წმ. მოციქ. მათესი სახაერების დამწერისა. სომეხ. ალების ღამე ვარაგ-ხაჩისა, ანუ წმ. გიორგის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა დღე 11—49—2. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 11—58, ჩადის 9—36.

22 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფოკისა. წინ.-მეტყ. იონასი. კათოლ. წმ. თომა ვილლანოველისა ეპისკ. და ალმსარ. სომეხ. წმ. მამანტ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა დღე 11—48—43. ტფილისში მზე ამოდის 5—59 ჩადის 5—37; მთვარე ამოდის 12—51, ჩადის 10—26.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიამ

ახალად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—7)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—16)

იბეჭდება და სექტემბრის პირველს გამოვა

‹ქართულის წერის დედანი›

ვ. გაბიჩვაძისა

(გამოცემა ი მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1) მსხვილი გადაუბმელი ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2) დაპატარავებული საშუალო მრგვალი ხელი უბადეოთ ოთხს ხაზში; 3) გადაბმული სწორედ (ალმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამ ხაზში და 4) გადახრული (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში—ჯერ გადაუბმელად და შემდეგ სამს ხაზში გადაბმით.—დედანსა აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი 30 კაპ. ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეგზემპლიარს იყიდის, ეგზ. 24 კაპ. დაეთმობა. (2—1)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების . წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დასტული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ‹ქართლის ცხოვრების› ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი ‹ვახუშტის ისტორიისა›. ‹მეორე ნაწილს› საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—12)

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე